ოქმი:**ო63. 63260922**
თარიღი:**02/04/2026**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი N 8

ქ. სამტრედია. 1 აპრილი, 2026 წელი.

2026 წლის 1 აპრილს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, გიორგი მეიშვილის, თავმჯდომარეობით ჩატარდა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: გიორგი მეიშვილი, ირაკლი მელაშვილი, ნათია პაპავა, მანანა სირბილაძე, გოჩა არველაძე, მერაბ უღრელიძე, ნუგზარ ნუცუბიძე, პაატა კოხრეიძე.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი, ნორა იანიკოვი.

2. საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხებში, თამილა კეკელიძე.

3. საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში, ნატო ჯულაყიძე.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო:

დღის წესრიგი

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის, დავით ბახტაძის, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის შესახებ, ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,მ.სირბილაძე/

2. სხვადასხვა

კენჭისყრის შედეგად (8 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 31 მარტის*** **N**62-622609077 წერილობითი მომართვა. საკითხი ეხება ინფორმაციას, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის, დავით ბახტაძის, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 56- ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ''-ქვეპუნქტის თანახმად, მერის უფლებამოსილების შეჩერების საფუძველია შვებულება, მე-3 პუნქტის თანახმად, მერის უფლებამოსილების შეჩერების ვადა განისაზღვრება შვებულების ვადით, ხოლო მე-4 პუნქტის თანხმად, ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული ფაქტების შესახებ ინფორმაციას, გარდა მე-2 პუნქტის „ზ"–„ი" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, მუნიციპალიტეტის საკრებულო ცნობად იღებს და აფორმებს საკრებულოს სხდომის საოქმო ჩანაწერით. მერს უფლებამოსილება უჩერდება შესაბამისი ფაქტის დადგომის მომდევნო დღიდან. გთხოვთ, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 26–ე მუხლის მე–2 პუნქტის ,,ა"–ქვეპუნქტის მიხედვით, მოიწვიოთ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა და სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 3 სამუშაო დღით, 2026 წლის 1 აპრილიდან 3 აპრილის ჩათვლით, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლა მიიღოს ცნობად და გააფორმოს საკრებულოს სხდომის საოქმო ჩანაწერით. ასევე გაცნობებთ, რომ საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 56-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, 2026 წლის 1 აპრილიდან 3 აპრილის ჩათვლით, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის ანაზღაურებადი შვებულების გამო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შესრულება დაეკისრა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს ამირან თევდორაძეს.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 8 წევრმა.

დაადგინეს: ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის, დავით ბახტაძის, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის შესახებ, მიღებულია ცნობად. კენჭისყრის შედეგად (8 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის, დავით ბახტაძის, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის შესახებ, ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,მ.სირბილაძე/

2. სხვადასხვა

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (8 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, საკრებულოს სხდომა გაიმართება 2026 წლის 1 აპრილს, 16^{00} საათზე.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის„ განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე.

გიორგი მეიშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი